ფონდი ანაწერის საქმე ფურც

287 1 294

საქაღალდე
ПАПКА
ДЛЯ
БУМАГ

287 1 294

დასკანირებულია
15.01.2025

2გ.

აკაკი სარდიონის ძე თოფურიას

დაბადებიდან 75-ე წლისთავზე

ფილოლოგიის ფაკულტეტისაგან

თბილისი

1991 წელი, მაისი

ძვირფასო ბატონო აკაკი!

თქვენი კოლეგები, თანატოლნი, ნამოწაფარნი გულწრფელად მოგილოცავთ დაბადების 75 წლისთავს. ვითვალისწინებთ რა თქვენს ადამიანურ ბუნებას — მოკრძალებულობასა და თავმდაბლობას, მოკლედ, მაგრამ უღრმესი პატივისცემით მოგახსენებთ იმ ღვაწლზე, რაც მიგიძღვით ჩვენი საზოგადოების, ქართული ფილოლოგიური და პედაგოგიკური მეცნიერების წინაშე.

რთული და მოულოდნელი წინააღმდეგობებითაა აღსავსე გზა სირიაჩქონის არასრული საშუალო სკოლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტამდე, ალბათ ისეთივე რთული, როგორც ფეხით გასავლელი ის თხუთმეტკილომეტრიანი ბილიკი მშობლიური სოფლიდან სენაკის პედაგოგიურ ინსტიტუტამდე, რომელსაც ყოველ კვირა დღეს მიუყვებოდით ხოლმე სიბრძნეს მოწყურებული თოთხმეტიოდე წლის ყმაწვილი.

სიბრძნის მტკიცე სიყვარულმა მიგიყვანათ ქართული მეცნიერების დიდ პატრიარქებთან. თქვენს ადამიანურსა და მეცნიერულ წრთობაში მონაწილეობა მიუღიათ გიორგი ახვლედიანსა და კორნელი კეკელიძეს, დიმიტრი უზნაძესა და ვარლამ თოფურიას, სიმონ ყაუხჩიშვილსა და ვახტანგ კოტეტიშვილს. სიჭაბუკის დროინდელი თქვენი ერთ-ერთი ლექსიც ამ უკანასკნელის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ხელდასხმით დაბეჭდილა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე. რომ არა ჟამთა ავბედითი ტრიალი, იქნებ უფრო ხანგრძლივი და ნაყოფიერი ყოფილიყო პოეტურ მუზასთან თქვენი ურთიერთობა.

ომის ცეცხლიდან დაბრუნებულმა ნაომარი ფარაჯის გაუხდელად მიაშურეთ საყვარელ საქმეს. ამიერიდან მეცნიერების ორ სფეროს ემსახურებოდით თანაბარი მონდომებითა და სიყვარულით. თქვენი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა განზოგადდა მნიშვნელოვან მეთოდიკურ შრომებში. ლეო ქიაჩელის შემოქმედების სასკოლო სწავლების საკითხებით დაინტერესება საფუძველი გახდა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სისტემატური კურსის შექმნისათვის, რომელიც უკვე ოცდაათ წელზე მეტია ერთადერთ სახელმძღვანელოდ ითვლება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. ეროვნული პედაგოგიკის ისტორიული საკითხების გაშუქებას მიეძღვნა მნიშვნელოვანი შრომა „ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია“. დიდი სიყვარულით შესრულებულ ამ გამოკვლევაში ახალი კუთხით წარმოჩნდა ჩვენი წინაპრების ინტელექტუალურ მისწრაფებათა კიდევ ერთი მხარე.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია თქვენი კრი-

ტიკული და ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის შრომები. XIX –XX საუკუნის ქართული ლიტერატურის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ წერილებსა და ეტიუდებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ეროვნული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ორასამდე მეცნიერული შრომა, ორ ათეულზე მეტი ცალკე წიგნი და ათასობით აღზრდილი, სწორ გზაზე დაყენებული ჩვენი მომავალი, ასეთია ჯერჯერობით თქვენი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი. ჯერჯერობით, რადგან თქვენ ჯერაც ახალგაზრდული შემართებითა და უცთომელი ალღოთი მიჰყვებით დროს, დღევანდელობას. სწორედ თანამედროვეობის მწვავე პრობლემების, ისტორიულად დაშვებული შეცდომების დაკვირვებულ ანალიზს მიეძღვნა უკანასკნელ ხანს გამოცემული მშვენიერი წიგნი „იყო ასეთი სოფელი“. სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ თქვენ, ბატონო აკაკი, ქართული მეცნიერებისათვის, დღევანდელობისათვის საჭირო კიდევ მრავალ ნაშრომს შექმნით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ჩვეულ სიმხნევესა და ახალ წარმატებებს.

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო
საბჭოს წევრები: